საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №19
2022 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №2-დან ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„370	4005	ა(ა)იპ – საფეხბურთო კლუბი „რაჭა“

2. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №3-ში ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3011 – „შემოსავალი დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„ფულადი სახსრების მართვის ოპერაციებიდან მიღებული პროცენტები სახელმწიფო ბიუჯეტში	3585“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**